№ 37 **სახალხო გაზეთი** № 37

კვირა, 20 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

„სახალხო გაზეთის“
კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Сеѳмену Пашалишвили.
ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ 7 მანეთი. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. პირველ ივლისიდან გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.
სახალხო გაზეთის კანტორა.

—კვირას, 20 ივნისს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—
გაიმართება კავკასიური



ჭიდაობა
უმაწვილების მზრუნველთა საზოგადოების
სასარგებლოდ
დღეს იჭიდავებს 7 წყვილი:
კულა გლდანელის
თანადასწრებით
1. სარქის ამირხანოვი გამოჩენილი ფალავანდი (ქაჯულის მამასახლისი) რომელიც ეჭიდავა კულა გლდანელს და გიორგი ჯიბგირს. გიორგი ჯიბგირის გამოწვევით 50 მან. სანაძლეოთ, რომელიც გაიმარჯვებს მომავალ კვირას დაეჭიდება ტონე თიანეთელს; 2. ლადო გელაშვილი და მიხეილ ჩაგროვი, გადამწყვეტი ჭიდაობა; 3. მიხეილ ლიტვინოვი და მამედ-ამინ ჩაფალოვი, გადამწყვეტი ჭიდაობა; 4. ისაკა მთიული და თედო კაკაშვილი, თედო კაკაშვილის გამოთხოვნით; 5. შაშუა ვერელი და თედუა ლომაძე; 6. [illegible] ატარა კახელი და სპირდონ მანჯავიძე; 7. ვასო ბეკურაშვილი [illegible] და ალექსანდრე ბეკაური
მიდაოა[illegible]
[illegible] მოყვარენი:
1. ივანე ხარატურიანცი და ჯიმშო სიღნაღელი; 2. კოლა დარახველიძე და დათიკო ხარილავა, 3. მედროგე ბორგაშვილი და ალექსანდრე ნაძალადეველი; 4. გიორგი იოსებეშვილი და პარახოტა ბუტიკაშვილი; 5. ციცე გამჯიაშვილი და ნიკა თეთრაძე.
ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.
ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ.
დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე.
(2—321—2)

ექ. ვ. ლამბაშიძის
სანატორიუმი
პატარა ცემში
გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:
ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.
დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს ბორჯომით პატარა-ცემს.
(25—17)

ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებისათვის საჭიროა
10.000 ფუთი ქერი
10.000 ფუთი თივა
3.000 ფუთი ბზე.
საქონლის ჩაბარების პირობები უნდა გამოიგზავნოს ტრამვაის სამმართველოში.
პირობები დახურულ კონვერტებში მიიღება ამა წლის 10 ივლისის დილის 12 საათამდე.
საქონლის ჩაბარების იჯარით გაცემა ამავე 10 ივლისს მოხდება. (1-6.-1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
სოხოცევსკი ვ. ვ. ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.
(200—ნ.—20)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფი აიღის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
ვ. ვაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ნ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
(წლ.—ნ.—369)

მეტად დიდი იაფობა
მხოლოდ — ერთი — კვირის — განმავლობაში
პ. ს.
დოროშინოვის
მაღაზიებში:
1) მთავარ მაღაზაში—სოლოლაკის ქუჩა.
2) იაროსლავისაში—მიხეილის ქუჩაზე, ლიუტერანთა ეკკლესიის გვერდით.
რადგან სეზონი მალე თავდება
ყველა საზაფხულო ფერადი ქსოვილები: სარპინკა, ტანისამოსი ჩილოსი და ბატისტისა, ხალათები. ზაფხულის ფერადი ჩულქები და სხვ. სეზონის საქონელი ერთი კვირის განმავლობაში, ანუ 21, 22, 23, 24, 25 და 26 ივნისს
გაიყიდება მეტად დაკლებულ ფასებში.
მეტად დიდი იაფობა
მხოლოდ — ერთი — კვირის — განმავლობაში
(1—ხალ.—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ოთხშაბათს, 23 ივნისს, 1910 წ.
ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სახლის სცენაზე თანამედროვე პიესა
ყომარბაზის ცხოვრება
დრამა 5 მოქ. ა. ბაქიაშვილისა.
ამ პიესას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ევროპის მთელ ქვეყნებში და ჯერაც დარჩენილია ყველა სახალხო რეპერტუარში.
მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: თ. აფხაზიშვილი, მ. ლელაშვილი, ა. კავთელი; ბ-ნნი: ლ. ბადაშვილი, გ. გელიკურაშვილი, ი. რევაზოვი, ა. გოჩიტაშვილი, რ. სალაყაია, ნ. მირველოვი, გ. მაისურაძე ლ. მიწაბოგარელი, ს. სულთანოვი, დავიდოვი და სხ.,
ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადმინისტრატორი ლ. ბადაშვილი.
(3—უ.—2)

ქართული საზაფხ. თეატრი და ბაღი
კვირას, 20 ივნისს 1910 წ.
გაიმართება წარმოდგენა და დიდი
ზეიმობა
წარმოდგენილი იქნება I
„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“
კომედია 2 მოქმ. რ. ერისთავისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი ბ. ნებიერიძე, პ. მღთაძე: ბ-ნნი შ. ხაფაროვი, ი. გრიშაშვილი, მეტრეველი და ალექსიძე.
II· საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობენ: ა. ჩიმიშკიანი, პ. ფრანცი, ა. დეკაპრილევიჩი. ვ. მატარაძე, ი. გრიშაშვილი და გიტარ-მანდოლინთა ხორო.
ბაღში: ბუფეტი, ყვავილები, ფოსტა, კომფეტი, ნიშანში სროლა და სხვა მრავალ გვარი გასართობი.
ზურნა, საზანდარი და სამხედრო მუსიკა. ევროპიული ცეკვა და ლეკური.
პრიზი სილამაზისა და ორგინალურ შლიაპებისთვის
დასაწყისი ბავშვთა ხეირნობისა 12—4 საათამდე. მოზრდილთათვის 4 საათიდან. ფასი ბავშვებისათვის 10 კ. მოწაფეთათვის 15 კ. მოზრდილთათვის 30 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. წარმოდგენაზე 1 მ.-დან 40 კ.-მდე. წარმოდგენა დაიწყება 8½ საათზე. დიასახლისი გენერალშა ვ. ნ. ბელოვისა.

ექიმი ქუთაისში კ. დ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუზუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაპებიხ) ხატკივარი), დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—71)

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი.
(0—უ.—209)

ექიმი მ. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთ 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია).
(0—151)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე
ქუთაისში.
იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიოდ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა.
(25—გვ.—2)

მოითხოვეთ ყოველგან
ნამდვილი ხვირისა და კახური ღვინოები
ჩაჩიბაიასი
იყიდება ყველა გასტრონომიულ მაღაზიებში და სასტუმრო რესტორანებში.
უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.
პატივისცემით ჩაჩიბაია.
(20—გაე.—5)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
განჯის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე
სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ურმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ხუდაბაშევი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
ორემბოვსკი—ცხვ., ყელის, ყურისა. 11½—12½ საათ.
მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.
ფონდოევი —ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.
ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—55)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ქირვ. ოლღას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ახალსთუმანში
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—4)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79.
(0—6.—89)

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა.
(უ)

იარმუკა დაბა ახალსენაკს.
პეტრე-პავლობის შვიდი დღის იარმუკაზე, რომელიც იწყება 23 ამა ივნისიდან, სხვათა შორის, გაიმართება ვაჭრობა სოფლის ხორაგეულისა და პირუტყვთა. და აგრეთვე ცალკე დანიშნულ ადგილზე—კარვებში—ფართლის და სხვა ხორაგეულობათა, ხოლო 29 ივნისს მოხდება ცხენების მარულა (დოღი) შვიდი ვერსის მანძილზე. პრიზები დანიშნულია: პირველისათვის ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.), მეორისათვის—ორმოცი მანეთი (40 მ.) და მესამისთვის ოცდა ათი მან. (30 მ.) მთელ იარმუკის განმავლობაში დაუკრავს მუსიკა.
დეპუტატი მელიტონ ოდიშარია.
(2—ფ.—1)

ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოება
„ვოლგა“ს
აგენტი გიგო თოიძე გადავიდა გოლოვინის პროსპექტზედ, № 38, ფოსტის პირდაპირ, სადაც მიიღებს დასაზღვევად სახლ-კარს და ავეჯეულება-საქონელს (1—345—1)

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ნოვ. რეჩ“-ის მე-134-ე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ანტონ ფურცელაძის ღია წერილი თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავად ბაგრატიონ-დავითიშვილისადმი. მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილებს წერილისას. წერილი ბ-ნ ფურცელაძეს მუხლებად აქვს დაყოფილი. პირველ მუხლში ეხება თ-დ ბაგრატიონ-დავითიშვილის მოქმედებას საზოგადო კრებებზე და ამბობს, სხდომების დასაწყისში თქვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გქონდათ სარევიზიო კომისიისა, მერე კი მე-IX-ე ტომს ამოეფარეთ და წინააღმდეგნი გახდით ყოველგვარ რევიზიისა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დეპუტატთა საკრებულოში ყველაფერი წესიერად არ მიდის, ამბობს ბ-ნი ფურცელაძე. ბ-ნი ფურცელაძე ეხება ყარანგოზიშვილის ინციდენტს, ესარჩლება კ. თუმანიშვილს, გზა და გზა ლანძღავს მ. ვ. მაჩაბელს და მერე გადადის იმ საგანზე, რომელსაც უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც წერილის ამ ნაწილს ცოტა დაწვრილებით მოვიყვანთ. უპირველესად ყოვლისა, ბ-ნი ფურცელაძე აღნიშნავს, რომ საკრებულომ უკანონოდ გასცა სესხი. უკანონობა იმაში გამოიხატება, რომ საკრებულოს მოვალეებისთვის გირაო არ ჩამოურთმევია.

უკანასკნელ წლების ანგარიშები რომ გადავათვალიეროთ,—ამბობს ბ-ნი ფურცელაძე,—დავინახავთ, რომ თავად-აზნაურთა საზოგადოებას თანხიდან დიდ-ძალი ფული მიუცია საადგილ-მამულო კომისიისთვის სრულიად უგიროთ. ეს კი კანონს ეწინააღმდეგება. კანონი ამის შესახებ აი რას ამბობს: „თავად-აზნაურთა ფულები შეიძლება მიეცეს ვისმეს იმ შემთხვევაში, თუ სესხი უზრუნველ-ყოფილია უძრავი ქონებით... გირავნობის ფურცელი ამ ქონებისა უნდა იწერებოდეს მთელ თავად-აზნაურობის სახელზე“. როგორ გგონიათ, გქონდათ თუ არა უფლება უძრავი ქონების უგიროდ სესხი გაგეცათ, და ისიც არა თქვენ, არამედ საადგილ-მამულო კომისიას? აი რად უნდოდათ, ვიმეორებ, სარევიზიო და სათათბირო კომისიის არჩევა“...

სანამ წერილის სხვა ადგილებს გავაცნობდეთ მკითხველს, არ შეგვიძლიან ერთი პატარა შენიშვნა არ გაუკეთოთ ზემოთ ამოწერილ სიტყვებს. გამოურკვეველია, ვინა ჰყავს მხედველობაში ბ-ნ ფურცელაძეს, როდესაც დეპუტატთა საკრებულოს ბრალსა სდებს. ერთ ადგილას უწერია: „усматривается, что масса денегъ выдана земельной комиссіи въ ссуду“; მეორე ალაგას კი ამბობს: „имѣете ли вы право выдавать ссуды безъ обезпеченія недвижимостью, а еще не вы. а земельная комиссія“? რაში ხედავს დანაშაულს ბ-ნი ფურცელაძე? იმაში, რომ საადგილ-მამულო კომისიას მისცა ფული უგიროთ, თუ იმაში, რომ თვით საადგილ-მამულო კომისიამ მისცა სხვა ვისმეს? ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, და ასე ბუნდოვანად გამოთქმა აზრისა ამ შემთხვევაში შეუძლებელია.

ბ-ნი ფურცელაძე უკანონობას მარტო ამაში არა ხედავს. იგი იმ აზრისაა, რომ ფულის განაწილებაც უკანონოდ სწარმოებდა. აი, სიტყვასიტყვით ბ-ნ ფურცელაძის აზრი:

„მე-IX-ე ტომის (გამ. 187 სტ.) 151 მუხლის 1 პუნქტისა და 152 მუხლის პირველსავე პუნქტის ძალით თავად-აზნაურთა ქონება იხარჯება მხოლოდ „მთელი გუბერნიის“ სასარგებლო საქმეებზე, თავად-აზნაურთა ქონე-

ბა კი შესდგება იმ თანხისაგან, რომელსაც, თანახმად წესდებისა, სადგილ-მამულო ბანკი თავის მოგებიდან აძლევს თავად-აზნაურობას. წესდების მე-100-ე მუხლის ძალით, მოგება ამნაირად ნაწილდება: „35 პროც. მიდის ტფილისის გუბერნიის მიწად-მოქმედთა და მიწად-მფლობელთა საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ასეთებია: სტიპენდიები, გზებისა და ხარწყავ არხების გაყვანა და სხვ.; 5 პრ. უნდება ექსტრაორდინარულს თანხას, რომელიც უნდა მიხმარდეს თავად-აზნაურობას უბედურ შემთხვევათა დროს, როგორცა მაგ. ცეცხლის გაჩენისა, მიწის ძვრა და სხვ.; 10 პროც. უნდა გადაიდოს სასოფლო-სამეურნეო თანხის გასაძლიერებლად. ეს თანხა უნდა მოხმარდეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობას, სამეურნეო ხასიათის სკოლების დაარსებას, სამეურნეო იარაღების მოწყობას და სხვ".

თავად-აზნაურთა საკრებულოს, ბ-ნ ფურცელაძის მტკიცებით, სულ სხვა დანიშნულება მიუცია ამ თანხისთვის.

„თქვენ ამ ფულებით უზრუნველჰყოფთ დეპუტატთა საკრებულოს, — სწერს ბ-ნი ფურცელაძე, — სამაზრო-წინამძღოლთა კანცელარიებში, ააშენეთ თეატრი, რომელიც 400 ათასი მანათი დაგიჯდათ, საელექტრონო სადგური, მართავთ წვეულებებს, ხარჯავთ წასვლა-მოსვლაზე, ჰბეჭდავთ რაღაც წიგნებსა და კანონებს, რომელიც ძალიან ძვირადა ჯდება, დახმარებას აძლევთ გორის სინდიკატს, კახეთის მევენახეთა საზოგადოებას და სხ. მთელი სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორდინარი თანხა სამუდამოდ („безвозвратно") საადგილ-მამულო კომისიას მიეცით და არამც თუ თვალ-ყურს ადევნებთ იმას, თუ როგორ ხარჯავს ამ ფულებს საადგილ-მამულო კომისია, არამედ თქვენ ამ მდგომარეობას შეუფერებელ გულფიცხობით მხარს უჭერთ ფულების ამნაირად განაწილების საქმეს. გვითხარით, თუ შეიძლება, რა უფლებით ანაწილებდით ფულებს ამნაირად? რა უფლებით მიეცით ამოდენა ფული საადგილ-მამულო კომისიას? რომელ კანონის ძალით აძლევს საადგილ-მამულო კომისია სესხს და ისიც უგირაოდ?

ბ-ნი ფურცელაძე ყველა ამის გამო დიდს მწუხარებას გამოსთქვამს. თავად-აზნაურობას უბედურ შემთხვევებისთვის ფული ჰქონდათ გადადებული და თქვენ სხვა საქმეს მოახმარეთ ეს ფული; სასოფლო-სამეურნეო თანხასაც სულ სხვა დანიშნულება უნდა მისცემოდა, მაგრამ თქვენ იგი საადგილ-მამულო კომისიას ჩაუყარეთო.

იმის მაგივრად, რომ ფულებისთვის კანონიერი დანიშნულება მიგეცათ, — სწერს ბ-ნი ფურცელაძე, — თქვენ ისეთს საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვთ კანონის მიერ დასახულ მიზნებთან".

ან იქნება გგონიათ, რომ მართლა დიადს მიზნებს ემსახურებით, — ეკითხება ფურცელაძე ბაგრატიონ-დავითაშვილს და მ. მაჩაბელს. ესეც რომ იყოს საქმე ახალი საქმისთვის ახალ წყაროების აღმოჩენაა საჭირო და არა სხვის ჯიბით სარგებლობა. არსებითადაც ის საქმეები, რომლებსაც ხელი მოჰკიდა თავად-აზნაურობამ, ბ-ნ ფურცელაძეს ხალხისთვის საზარალოდ მიაჩნია. განსაკუთრებით ზარალობს განათლების საქმე, რომლის შესახებაც მერე მოგელაპარაკებითო, გვპირდება ბ-ნი ფურცელაძე. ჩვენც ამ წერილის შესახებ ჩვენს აზრს მაშინ გამოვსთქვამთ, როდესაც ბ-ნი ფურცელაძე თავის წერილს დაასრულებს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივნისი.

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** ლოიდ ჯორჯმა ბიუჯეტი უკვე შეიტანა პალატაში; ამასთან აღნიშნა, რომ წინა წელთან შედარებით გასავალი შესამჩნევად გაიზარდა, მეტადრე საზღვაო უწყებისა, რისთვისაც იგი 5½ მილიონ გირვანქაზე მეტს მოითხოვს. საზღვაო უწყების მთელი გასავალი 40½ მილიონია, ხოლო საერთო გასავალის ჯამი 198,930,000 უდრის. ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, სთქვა ლოიდ ჯორჯმა, რომ მიმდინარე წელს და უეჭველია მერმისსაც საზღვაო უწყების გასავალი გაიზრდებოდა და გაიზრდება, მაგრამ იმედია შემდეგ წლებში, როცა გერმანიის გემთა საამშენებლო პროგრამა 50 პროც. დაეცემა, ყველაფერი ძველებურს ნორმალურს მდგომარეობას დაუბრუნდება; მაშინ შეგვეძლება მუშა ხალხი უმუშევრობისაგან და დასახიჩრებისაგან დავაზღვევთო.

**ვენა.** ლვოვიდან „კორესპონდენც-ბიუროს" ატყობინებენ: დღეს დილით სამასზე მეტმა რუსმა სტუდენტმა რექტორის დაუკითხავად დაიჭირა უნივერსიტეტის დარბაზი. დარბაზის დაჭერის დროს მათ პოლონელ სტუდენტებთან მოუვიდათ შეტაკება, რომლის დროს გაისროლეს რევოლვერი. დაიჭრა რამდენიმე სტუდენტი და უნივერსიტეტის მსახური. უნივერსიტეტში პოლიცია ჩააყენეს.

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფემ მიიღო თხოვნა მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება: ცნობა ჰელსინგფორსიდან, ვითომ ინგლისის ყველა პარტიების ლიდერებს გადაეწყვიტოთ მიმართონ გრეის და სთხოვონ ფინლიანდიის საკითხში ჩაერიოს უკანასკნელის სასარგებლოდ, ტყუილია. მართალია, იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფინლიანდიის პარტიებმა გადასწყვიტეს გრეის დახმარება სთხოვონ, და ალბათ ეს ცნობა სხვანაირად გადააკეთეს.

**ვენა.** ლვოვიდან „კორესპონდენც ბიუროს" ატყობინებენ: შუადღისას უნივერსიტეტის წინ ხალხი ბლომად შეიკრიბა. ცხენოსანი პოლიციელები იცავენ წესიერებას. კომისია უნივერსიტეტში გამოძიებას ახდენს. დაჭრილია ექვსი სტუდენტი და უნივერსიტეტის სამი მსახური. სტუდენტები ჯერ ჯერობით აუდიტორიებში ყავთ დამწყვდეული. უნივერსიტეტს პოლიცია იცავს.

**სერაევო.** გარდაიცვალა სეიმის პრეზიდენტი ლიბეგფირდუსი.

**ვენა.** „კორესპონდენც ბიურო" იუწყება: რუსინთა დეპუტატებმა ინტერპელიაცია შეიტანეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლონელმა სტუდენტებმა რუსინელ სტუდენტებს ორჯელ ესროლეს რევოლვერი, ადმინისტრაციამ იცოდა, რომ არეულობები უნდა მომხდარიყო, არავითარი ზომები კი არ მიიღო სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენილად. ბოლოს დეპუტატები მოითხოვენ რუსინთათვის დაარსდეს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი ქ. ლვოვში.

## სპარსეთი

**თავრიზი.** ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა შეასრულა ყველა მოთხოვნილება, რომელიც რუსეთის საელჩომ წარუდგინა მას რუსეთის ქვეშევრდომის ბაბაიანის და დეზერტირის საქმის გამო. მან გადაიხადა ჯარიმა. რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის თანდასწრებით სამხედრო მოედანზე დასაჯეს რვა პოლიციელი, რომელთა დანაშაულობა ბაბაიანის ცემაში დამტკიცდა. დამნაშავეთა წამქეზებელი პოლიციის ბოქაული ხაშიმ-კავკაზი დასჯის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს. თავრიზში მდგომ რუსის ჯარის უფროსის ენერგიული მოქმედების წყალობით ამ ზომებმა არავითარი ინციდენტი არ გამოიწვია. თავრიზის ფიდაებს და პოლიციელებს ცოტა შეკავებით უჭირავთ ეხლა თავი.

## რუსეთი

**ოდესა.** გამოფენაზე გლეხების რამდენიმე ექსკურსია ჩამოვიდა. დაათვალიერეს სასოფლო-სამეურნეო განყოფილება.

**ჰელსინგფორსი.** ჰელსინგფორსში და ვიბორგში დაპატიმრებულ 18 რუსს მალე პეტერბურგის ადმინისტრაციას გადასცემენ.

**ნოვოჩერკასკი.** სოფელ ლიუბიმოვში დაიწვა ოროქლის წისქვილი. ზარალი 5000 მანეთამდეა.

**პერმი.** დაკეტილ ქარხნების მომუშავეთა უზრუნველსაყოფად შემდგარმა კომისიამ უკვე დაიწყო მოქმედება.

**მოგილევი.** სენნის მაზრის სოფელ პოდმოშჩში გადაიწვა 23 სახლ-კარი და 9 ზვინი თივა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ნება მიეცათ სახალხო განათლების მინისტრს საბჭოს მიერ შესწორების შემდეგ განსახილველად შეიტანოს კანონ-პროექტი კერძო სასწავლებლის და კურსების შესახებ. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს—გარეშე საქმეთა მინისტრის თანხმობით რუსეთი საერთაშორისო საელექტრო-ტექნიკო კომისიასთან შეერთებულად გამოაცხადოს, ხოლო ამავე მინისტრს ნება მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით დააარსოს სამშობლო საელექტრო-ტექნიკო კომიტეტი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა დაადგინა 1910 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის 1 სექტემბრამდე მოსპოს საქციზო გადასახადის უკან დაბრუნება საზღვარ-გარედ გატანილ შაქარზე, გარდა სპარსეთისა, სადაც შაქარი მიდის კასპიის ზღვითა და ხმელეთის გზით, აგრეთვე რუსეთის იმ მოსამზღვრო ქვეყნებისა, სადაც შაქარი ხმელეთის გზით გააქვთ. ეს დადგენილება ფინლიანდიის შესახებაც ძალაში დარჩება, თუ ფინლიანდიის საბაჟო დაწესებულებანი არ დაამოწმებენ, რომ ფინლიანდიაში შეტანილი შაქარი შინაურ საჭიროებას ხმარდება. 1910 წლის 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე ფინლიანდიაში შეიძლება შაქრის გატანა მხოლოდ საქციზო გადასახადის ჩასარიცხ კვიტანციების დროებით შეჩერებით. ეს განკარგულება არ შეეხება იმ შაქარს, რომელიც გატანილი იქნება 1 ივლისამდე.

## ხოლერა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა კიდევ ერთი კაცი.

**ეკატერინოდარი.** ოლქში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 396, მორჩა 59, გარდაიცვალა 222 კაცი. ეკატერინოდარში ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **გაზეთის დახურვა.** ადმინისტრაციის განკარგულებით გუშინ, 19 ივნისს დაიხურა ქართული ყოველ დღიური გაზეთი „ჩვენი გაზეთი". გაზეთი „მავნე მიმართულებისათვის" დახურეს.

✦ **ლექცია.** დღეს, 20 ივნისს, სახალხო სახლში ქ-ნი ბარბარე ხერხეულიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას ამ თემაზე: „საროსკიპოების გაუქმება" დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ **ჯარიმა.** ტფილისის გუბერნატორმა საადრესო სტოლის წესების დარღვევისათვის 50 მან. დააჯარიმა ტფ. მცხოვრები რ. ისრაელევიჩი. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი თვით დაპატიმრებენ.

✦ **ექსკურსანტები ბორჯომში.** ბორჯომიდან გვატყობინებენ, რომ იქ იმყოფებიან პეტერბურგელი ექსკურსანტი სტუდენტები [illegible] ვაჟები ბაკურიანისაკენ აპირობდნენ წასვლას, მაგრამ ბილეთებს 6 საათის წინ ვადა გასვლოდათ. ექსკურსიის ხელმძღვანელმა პროფესორმა რკინის გზის უფროსსა სთხოვა დახმარება.

✦ **სანიტორო დათვალიერება.** გუშინ ქალაქის სანიტართა კომისიამ რიყის ქუჩაზე სავაჭრო სამრეწველო და სხვა ამგვარი დაწესებულებანი დაათვალიერა. ზევრს ადგილას კომისიამ სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა და დაწესებულებათა პატრონებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაასუფთაონ დაწესებულებანი, ქალაქის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად.

✦ **დამხრჩვალი ქალი.** ამ დღეებში, როგორც გორიდან გვატყობინებენ, სკრის მახლობლად მტკვარში უპოვიათ დამხრჩვალი ქალის გვამი. იგი აღმოჩენილა სოფ. ბექსარის მცხოვრებ ზაქარია თედეშვილის ცოლი, ანნა. ქალის ნათესავების სიტყვით, ის ნაძალადევად არის მოკლული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქალის მოკვლაში დამნაშავეა მისივე ქმარი ზაქარია თედეშვილი.

✦ **მაჭმადიანთა შუამდგომლობა.** განჯის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ გაუქმებულ იქმნას სათათბიროს მიერ მიღებულ ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მაჭმადიანებს.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 18 ივნისს სალდათის ბაზარში მაძებარ პოლიციის აგენტებმა შეიპყრეს ტფ. მოქალაქე კარაპეტ სარქისოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **სასამართლოში.** 18 ივნისს ქუთაისში სასამართლომ დაამთავრა ეგრედ წოდებულ „ყვირილის რესპუბლიკის" საქმე, რომლის გამოც პასუხის გებაში მიცემულნი იყვნენ: ვაშაძე, ბუაჩიძე, საყვარელიძე, კიკნაძე, ღლენტი, ანთაძე და არევა-

# შანტეკლერი*)

3.

**შანტეკლერი როგორც ესთეტიური ტიპი.**

მთელს პიესაში მპყრობელი გულისა მხოლოდ შანტეკლერია.

იგი გმირია ზეშთაბერილი და არა ჩვეულებრივი მოვლენა.

იგი მხატვარია, მგოსანი, და არა მორალისტი, მქადაგებელი.

შანტეკლერი როგორც მგოსანი, როგორც გმირი თავის აზრს აქცევს საქმედ. ჩვეულებრივი მორალისტი კი თავის აზრს მხოლოდ სიტყვათ აქცევს და არა საქმედ.

შანტეკლერი მარტო მოქმედებს, მარტო იბრძვის და ბრძოლის ნაყოფს აწვდის ქვეყანას. იგი არ არის მქადაგებელი, სხვის ჭკუის მასწავლებელი და ამიტომ მას უნდა შევხედოთ არა როგორც ეთიკურ ტიპს, არამედ როგორც ესთეტიკურს.

და იგიც მხოლოდ ამ მხრივ არის საინტერესო.

იგი როგორც გმირი აღტაცებაში მოიყვანს ადამიანს, როგორც მგოსანი თავს შეაყვარებს ყველას, როგორც თავგანწირული დამცველი სუსტთა—სხვასშიც აღვიძებს თანაგრძნობისა და პატიოსნების სულს, როგორც წინამორბედი სინათლისა, ბედნიერებისა სხვის გულშიც აღანთებს დიად რწმენას და ვისშიც ანთებულია იგი, მაშინ განამტკიცებს მას ღვთიურის სიძლიერით და ამათაც უფრო შეაყვარებს თავს, უფრო სანატრელი გახდება, გულის აღმძვრელი.

გმირობა შანტეკლერისა სულ სხვა გვარია.

იგი ღვთისაგან არის წარმოშობილი და არა ხალხისაგან.

იგი გმირია დაბადებით, მოწოდებით, და არა შემთხვევით, ცხოვრებით.

ვით თევზი წყლისთვის
შობილი ვარ მეც მხოლოდ ხმისთვის.

სიყვარულით აღტაცებული შესძახებს იგი თავის ხოხობს.

მას ღრმადა სწამს, რომ იგი მოწოდებულია ქვეყნის საკეთილდღეოდ. იგია წინამორბედი მზის, მან უნდა გაათენოს ყოველი დღე და ქვეყანას მოჰფინოს სინათლე და სიცოცხლე. ამ რწმენის სიღრმეს ვერ სწვდება ვერც სხვის გონება და იქვი და ვერც თავისი.

იგი დარწმუნებულია გულწრფელად, დაბადებით, რომ თუ მან „ყიყლიყო" არ შემოსძახა, მზეც აღარ ამოვა, არ გათენდება და ქვეყანა ისევ ბნელში, წყვდიადში დარჩება.

მისი „ყიყლიყო" მზის მომწოდებელი, მის ქება-შემსხმელი ნუ კი გგონიათ უბრალო იყვეს, მშრალი, უშინაარსო. არა! იგი ბავშვისებურის სიწრფელით არწმუნებს მშვენიერ, გამაგიჟებელ ხოხობს:

ჩემ ყიყლიყოში ჩემ სულსა ვბერავ,
და იმ წუთაში მწამს ჩემ სიმღერით
ვით იერიქონს დავქცევ ბნელსა,
...ჩემში მიელავს და ცაში მიჭრის
დედა-მიწის ხმა ძლევა-მოსილი,
ეს—ძახილია ყოველ არსების,
მოწოდებაა წრფელ სიყვარულის,
მწუხარებისა და მოლოდინის
იმ ოქროს ფერი იდუმალების,
რასაც სახელად დღე ეწოდების.

ოჰ, რა ლამაზი ილიუზიაა სიმართლის ფერით შეღებილი მის უგონო, კეთილშობილურ რწმენაში, მისწრაფებაში!

ამაყად ასწევს თავს, თვალებს მიაპყრობს აღმოსავლეთს და შესძახებს ერთ მძლავრ ყიყლიყოს. და ცის კამარაზე, აღმოსავლეთით უკვე შეკრთა ბნელი, შემოერია სინათლე და თან და თან იზრდება, ჰყვითლდება ცის ფართე სკერდზე.

მე მაინც ვმღერი.
ამაოდ ღამე მაცდურის სახით
წყვდიადის ნაცვლად ბინდ-ბუნდს მომაწვდის.
მე მაინც ვმღერი—და ერთიც ვნახოთ,
თითქოს თვალებში აღმენთო ალი
და ოქროს ფერად მე შევიღებე,
ვით ცის კამარა აღმოსავლეთით.

შესძახებს მეორე მძლავრ ყიყლიყოს, და ცა უკვე გალამაზდა აღმოსავლეთით მოფენილ ლაჟვარდით.

მოისმის მესამე ყიყლიყო მეტის რწმენით, მეტის იმედით ამოძახილი და პირველი სხივები მოფარებულის მზისა ნათელ ისრებად ჩაეკონებიან მაღალ მწვერვალებს და ოქროს ფერად დაედგმიან თავზე გვირგვინად.

მეტის აღტაცებით უთრთის გული. იგი აღმოსავლეთისკენ ლამის თვითონაც აღენთოს თავის ძახილში.

კიდევ ერთი ყიყლიყო! ერთი იმედიანი შემოძახილი და საგალობელი მზე ცეცხლად ანთებულ ბურთად აღმოცურდა აღმოსავლეთით, ოქროს ფრად შეჰღება მთები, ველები, ჭალები, ტყეები. გამოიღვიძა ჭია-ღუამ და მორთო ზუზუნი, გამოფხიზლდნენ ფრინველნი და დაიწყეს ჭიკჭიკ-გალობა. ადამიანებიც წამოდგნენ და მიეშურებიან სამუშაოდ აქეთ-იქით. საქათმესაც გაუღეს კარი, გამოვიდნენ ქათმები, ბატები, წიწილები, ჭუკები და მორთეს კაკანი, ყივილი, წივილი. ცაში ისმის გალობა, ჭიკჭიკი, მინდორ-ტყე-ველში—სიმღერა, ძახილი; ყველას ნათელი ადგია, ყველაფერი ჰხაროპს, ქვეყანა იცინის, მხიარულობს, შრომობს და ყველა ეს ხდება ვის წყალობით?—მხოლოდ შანტეკლერისა. მისმა ყიყლიყომ მოუწოდა მზეს, მზემაც გაუგონა, ამოვიდა და ქვეყანას მიანიჭა ბედნიერება.

შანტეკლერის რწმენა ზეშთაბერილია, იგი არ არის ამქვეყნიური.

როცა კოპწია ხოხობი შანტეკლერით გატაცებული, ცნობის მოყვარეობით სავსე, გაუფრთხილებლივ ეკითხება—შენ ვილა გაღვიძებს განთიადზე წინედო? შანტეკლერი ჩვეულებრივის ღრმა რწმენით და უბრალოდ უპასუხებს—შიში, რომ ერთხელაც არ დამავიწყდეს განთიადის მოვლენა ქვეყნადო.

როცა მეოთხე მოქმედებაში გიჟმაჟი, გადამრევი ხოხობი სცდილობს, რომ მზის სანაცვლოდ პირველი ადგილი მან დაიჭიროს შანტეკლერის გულში, ეხვეწება, რომ ერთ დღეს მაინც ნუ იმღერებს და ეს დღე გაატაროს მასთან ტრფიალში, ნეტარებაში, შანტეკლერი გაოცებით შესძახებს:

როგორ? ხელუხლებლად დავტოვო ბნელი
მთელი ერთი დღე? ...

ამას ვერ ჩაიდენს, ვერა! დაე, რაც უნდა იფიქროს ლამაზმა ხოხობმა, დაე — უწოდოს მშიშარა, დაე—მიიღოს სიყალბედ, რომ მართლა შანტეკლერს ამოჰყავს მზე თავის ძახილით—შანტეკლერი მაინც იმღერებს, არ გაუგონებს და სატრფოსათვის მთელ ქვეყანას უგანთიადოთ ის არ დასტოვებს.

დიაღ, ასეთია შანტეკლერი! იგი მგოსანია მზისა დიადის რწმენით ზეშთაბერილი. მაგრამ მას სხვა ბევრი ღირსებაცა აქვს, რითაც უფრო შესაყვარები ხდება და თავის გონიერულ გენიალობას მეტ ნათელსა ჰფენს. ერთი მის საუკეთესო ღირსებათაგანი მოკრძალებაა. იგი არას დროს არა ყოყლოჩინობს თავისი დიადის მისიით. იგი იმდენად არის ამაყი და მედიდური, რამდენადაც ეს აუცილებელია თავის ღირსების დასაცავად და თავის მოწოდების გამოსახატავად.

სიმღერისაგან არ ველოდები
არცა დიდებას და არცა სახელს.
მე ვნატრობ მხოლოდ, რომ სიბნელეზე
ვძლიო გამარჯვებით დღისა სინათლეს.
ჩემი სიმღერაში ჩემი რწმენაა,
მთელად ჩემი შრომა, ჩემი გმირობა,
იმიტომ ვმღერი ეგრე ამაყად,
მიტომ არ ვიცი ხმისა ძვირობა.

აი გულწრფელი აღსარება შანტეკლერისა. მან ოღონდ კი იმღეროს, რამდენჯერმე შესძახოს ძლიერი ყიყლიყო, ოღონდ კი მზე მოუვლინოს ქვეყანას, შეასრულოს თავისი მოვალეობა, დანიშნულება და დანარჩენთან საქმე არა აქვს.

დაე, სცდებოდეს შანტეკლერი! დაე, მის წყალობით ნუ ამოვა მზე, მაგრამ თვით მისი მოვალეობის შესრულება ისე ერთგულად, ასე რაინდულად, ისეთის მზრუნველობით ქვეყნისადმი და ისეთის პატივისცემით თავის დანიშნულებისადმი მეტად სახარბიელო და სანატრელი თვისებაა.

ყოველი გმირი სცდება, ყოველი მგოსანი სტყუვდება, მაგრამ იმათი თვით შეცდომაც კი ლამაზია, ძლიერი, ჭკუის სასწავლებელი, გრძნობათა აღმძვრელი, შესაყვარები.

რომ შანტეკლერს რამე ანგარება ჰქონოდა გულში თავისი ყიყლიყოს ძახილის დროს, ან ქათმების მოხიბვლა, ან სახელი, დიდება მაშინ მას ყველა მატყუარას დაარქმევდა, უპატიოსნოს, მაგრამ არა! მისთვის ყველაზედ პირველი, ყველაზედ უმთავრესი მისი ყიყლიყოა, მზის ამოსვლა, განთიადის მოვლენა, ამათ არავის არ დაუთმობს, ყველაფერს ამათ ანაცვალებს და თუ დანარჩენში ჰნახავს რამე სიამეს, სიტკბოებას, მაშინ უარს როგორ იტყვის.

იგი ჯერ ამოიყვანს მზეს, ჯერ გაათენებს და შემდეგ თავისუფლად დაუწყებს არშიყს თეთრ დედალსაც, შავსაც, იხვსაც, ფარშევანგსაც და ეგრე იხარებს, იმხიარულებს.

მისი მოკრძალების დამამტკიცებელია კიდევ ის, რომ იგი ერთგულად ჰფარავს თავის საიდუმლოებას, ჰფარავს რითაც მას შეუძლიან ყველას წინ სიამაყე, რომ იგი არის მზის მომწოდებელი, რომ მზე ევლინება ქვეყნიერობას მისი ყიყლიყოს ძახილით. იგი დარწმუნებულია ამ თავის ღვთიურ ძლიერებაში, მაგრამ მაინც ჰფარავს; მის გამოქლავნებას თავის დამცირებად, სულმოკლეობად ჩასთვლიდა.

სადაც მოკრძალებაა, იქ პატიოსნებაც არის. მოკრძალება და პატიოსნება ერთი გვამიდან არიან შობილნი, ერთ ფესვზედ ამოსულნი, ლამაზ ტოტებად გაშლილნი, გადახლართულნი, და მართლაც შანტეკლერიც განხორციელებაა პატიოსნების, იგი არავის არ მოატყუებს, გინდაც ამ ტყუილიდან ბევრ სიტკბოებას ელოდეს. იგი არ დაჰფარავს სხვის ღირსებას, ხელს არ დააფარებს თავის სისუსტეს და ყოველთვის ამცნევს სიყალბეს, როგორც თავის მტერს, ისე მოყვარეს.

როცა ბაყაყები ქებას ასხავენ, დიდებას უძღვნიან შანტეკლერს და არწმუნებენ, რომ მისი „გალობა" ბევრით უფრო მხიბლავია, ძლიერი, ტკბილი, ვიდრე—სიმღერა ბულბულისა, რომ მის ხმაში ყველაფერი ახალია, უცნობი, საამო—ბულბულის ხმა კი გასცვდა, დაძველდა, მოსაბეზრებელი გახდაო, შანტეკლერს ჯერ თითქოს არ სჯერა, მაგრამ ბოლოს თვით გულ-უბრყვილო—ბაყაყთა ქებასაც გულწრფელობად მიიჩნევს და დაიჯერებს, რომ იგი ბევრით სჯობია ტყის მგოსანს, მაგრამ ამ დროს დაიკვნესებს ბულბული და ეს კვნე-

*) იხ. „სახალ. გაზეთი" N 34.

ქე. ერთის ბრალდებულის კ. მოდებაძის საქმე მისი ავადმყოფობის გამო გამოყოფილ იქმნა. 13 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ ყველანი უდანაშაულოდ უცვნია გარდა არევაძისა, რომელსაც სასამართლომ 15 წლის კატორღა გადაუწყვიტა. ყველა გამართლებულნი იმავ დღეს განთავისუფლეს გარდა ანთაძისა, რომელმაც ციხეში სასჯელი უნდა მოიხადოს სხვა საქმეზე.

✦ 18 ივნისს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში მასიურ ჩხრეკის დროს 26 უპასპორტო შეაპყრო.

✦ **ჟურნალი „ერი".** გამოვიდა ჟურნალ „ერის" მორიგი მე-20 ნომერი შემდეგის შინაარსით: სიმცირის გავლენა,—ფ. გოგიჩაიშვილისი; ხმა იმედისა,—ს. ფაშალიშვილისა; ქართულ დრამატიულ საზოგად. 30 წლ. არსებობა,—მწიგნობარისა; მეაბრეშუმეობა ჩვენში; სიმახინჯე, დრამა—ნ. შიუკაშვილისა; ბედი მგოსნისა,—ა. შანშიაშვილისა; ნუცალ ხანი,—ივანე ბუქურაულისა; ინგილოთა ყოფა-ცხოვრება,—ზ. ედილისა.

✦ **„თეატრი და ცხოვრება".** გამოვიდა მორიგი მე-24 ნომერი „თეატრი და ცხოვრებისა". ამ ნომერში დაბეჭდილია: მეთაური; მამათა ანდერძი და ჩვენი მოვალეობა; ვიდექ ზღვის პირას,—დუტუ მეგრელისა; მწუხრი,—ბაბილინასი; რეაქცია,—აკაკისა; სათეატრო წვრილი ამბები და სხვა.

დღეს, 20 ივნისს, მთავრობის ნებართვით მე-7 უბანში, რკინის გზის ლიანდაგის იქით მოხდება კრება „მირზოევის მამულის" მფლობელებისა სხვა და სხვა საჭირო საკითხების გადასაწყვეტად.

✦ 12 ივნისს, საღამოს 9 საათზე, მერვე უბნის ბოქაულთან შესულა სუფ-კარაპეტის ქუჩაზე მცხოვრები მარიამ არტემის ასული სუკიასოვისა და ბოქაულისათვის დასამოწმებლად გადაუცია ფოსტის უწყება 400 მანეთისა, რომელზედაც სწერებულა „მოთხოვნამდე". ამასთანავე წარუდგენია თავისი მეტრიკა. რადგან მისაღები ფული ასე დიდი ყოფილა და ბოქაულს პირადად არ სცოდნია ქალის ვინაობა, უკანასკნელისთვის უთხოვნია მეორე დღეს მისულიყო. ქალი წასულა და მასუკან აღარც გამოცხადებულა. 15 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე ბოქაულთან მისულა ავჭალის ქუჩაზე მცხოვრები მარიამ ანტონის ასული სუკიასოვისა და უთქვამს: ჯულფაში ვიყავი და როდესაც ტფილისში წამოსვლა დავაპირე, 400 მან. ფოსტით ჩემს სახელზე გამოვგზავნე ტფილისში, რადგან გზაზე გაქურდვისა მეშინოდაო. დღეს კი გავიგე, რომ ფოსტიდან ეს ფული მიუღია ვინმე მარიამ სუკიასოვისასაო, დუბლიკატზე კი მისი ვინაობა ნოტარიუსს შეუმოწმებიაო. ბოქაულს დაუბარებია მარიამ არტემის ასული სუკიასოვისა და უკანასკნელს აუხსნია, ჯულფიდან ჩემი დანიშნულისაგან ხშირად ვიღებ ხოლმე ფულსა და ახლაც წერილი მივიღე იმისაგან, 400 მანეთი გამოგიგზავნეო. ამიტომ ფული მივიღე და თითქმის სულ დავხარჯეო. მარიამ სუკიასოვმა ჩქარა შეცვალა ჩვენება და ფული ბოქაულს გადასცა. ბოქაულმა ფული მარიამ ანტონის ასულს სუკიასოვისას გადასცა.

## ტფილისის სასწავლო ოლქის სამღვდელოების

### უკანასკნელი კრება.

მიმდინარე ივნისის პირველ რიცხვს მოწვეულ იქმნა ტფილისის სასწავლო ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. ხსენებულ სასწავლო ოლქში შედიან ტფილისის მაზრის, ქალაქ ტფილისისთვე, ყარსის ოლქის და ბაქოს გუბერნიის საბლაღოჩინოთა სამღვდელოება. ამ საბლაღოჩინოთა სამღვდელოების და სამრევლო ეკკლესიების ხარჯზე ინახება ტფილისის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი ეკუთვნის სასულიერო უწყების დაბალ ტიპის სასწავლებლებს მღვდელ-მედავითნეთა შვილების აღსაზრდელად. იყო დრო, როდესაც ამ ტიპის სასულიერო სასწავლებლების მართვა-გამგეობა რუსეთშიაც და ჩვენშიაც მთლად სამღვდელოების ხელში იყო. ეხლა კი სამღვდელოებას სასწავლებლის მხოლოდ სამეურნეო ნაწილი და ექვემდებარება, ისიც იმდენად, რამდენადაც საქმე შეეხება სასწავლებლის შესანახ ფულების გამოღებას სასწავლებლის „სმეტისა" ხარჯთ-აღრიცხვით. სასწავლო ნაწილი კი სრულიად გამოყოფილია სამღვდელოების კონტროლისაგან და ექვემდებარება სასწავლებლის სინოდისაგან დანიშნულ ადმინისტრაციას ადგილობრივ ეპისკოპოზის ზედამხედველობით. ამის მიუხედავად ამა თუ იმ სასწავლო ოლქის სამღვდელოებას, რომელსაც ცოტა რამ თავბედი აქვს და რომელიც საქმეს გულწრფელად ემსახურება, ყოველთვის შეუძლია რამოდენიმედ მაინც გავლენა იქონიოს სასწავლო ნაწილის და სასწავლებელში ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების საქმეზედაც. ასედაც სწარმოებს საქმე რუსეთის ეპარქიებში. ჩვენში კი ყველაფერი დათრგუნულია, გარნა რაც ამ დათრგუნვას შეიძლებოდა გადარჩენოდა, ისიც ადგილობრივ „უგოდოვცების" მეოხებით მიწასთანაა გასწორებული. შემცდარი იქნება ის აზრი, რომ ყველაფერში სხვას დავსდოთ ბრალი, როდესაც ნათლად ვხედავთ, რომ ხშირად ჩვენ თვითონ ვიბნევით საცნობელს და ვკარგავთ კანონისაგან მონიჭებულ უფლებებსაც კი. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს ტფილისის სასულიერო სასწავლებლის საქმე. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ამ სასწავლებლის შესანახი ხარჯი სამღვდელოებაზეა გაწერილი. ამიტომ სამღვდელოებასვე უფლება აქვს ყოველ წლობით მოახდინოს ხოლმე თავისგანვე არჩეულ პირთა კრება სასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვის განსახილველად და გზა და გზა მისის შინაურ ცხოვრებაშიაც ჩასახედავად. მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ?! პირველ ივნისს მოწვეულ სამღვდელოების დეპუტატთა კრების წინა კრება ყოფილა 1898 წ., ესე იგი წარსულ საუკუნეში, თორმეტი წლის წინად!

ამ ხნის განმავლობაში აღნიშნულ ოლქის სამღვდელოებამ არც კი იცოდა რა ხდებოდა თავის სასწავლებელში. როგორც სამღვდელოება, ისე სამრევლო ეკკლესიები 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით იხდიდნენ ფულებს! არ გამოჩნდა კაცი, რომ ასეთ საარაკო გარემოებისათვის ბოლო მოეღო. ალბად 1898 წ. ხარჯთ-აღრიცხვა ძლიერ ხელსაყრელი ყოფილა სასწავლებლის ადმინისტრაციისათვის, თორემ ეს უკანასკნელი ამდენს არ დააყოვნებდა კრების მოწვევას ახალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.—საქმე იმაშია, რომ სამღვდელოების ერთ-ერთი ძველ კრებას სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად თუ გასადიდებლად უსესხნია 25,000 მანეთი და ეს თანხა გაუწერია ეკკლესიებზე და სამღვდელოებაზე იმ ანგარიშით, რომ ვალი უნდა გადაწყვეტილიყო 1904 წელს. გავიდა ეს წელი, ვალიც გადაიწყდა, ფულს კი სასწავლებლის ადმინისტრაცია მაინც იღებდა და ხარჯავდა, როგორც თვითონ დაინახავდა საჭიროდ! ისე დაიშალა ივნისის კრება, რომ ვერავინ გაიგო, რატომ მოხდა ეს ამბავი, ან რა უფლებით იქცეოდა ასე სასწავლებლის ადმინისტრაცია! კრება დაკმაყოფილდა მით, რომ ბალანსი გამოყვანილი იყო კარგად, შემოსავალი გასავალთან შეფარდებული. ყველაფერი თავის რიგზე იყო ნაჩვენები, ნაწერილ-გაწერილი და დახარჯული.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, კრებას არც წელს მოიწვევდნენ, რომ ტფილისის წმ. მარინეს ეკკლესიის მნათეს არ განეცხადებინა პროტესტი ეკკლესიის ასე უსამღვდლო უცხვეფის წინააღმდეგ! საკვირველია, რას აკეთებდნენ სამღვდელოების დეპუტატები სასწავლებლის საბჭოში?! ეს დალოცვილები რად ტვირთულობენ ასეთ მოვალეობას თუ კრინტსაც არ დასძრავენ?! მაგრამ მათზე რა გვეთქმის, როდესაც ჯერ არც კი ვიცით რა გაარიგა თვით სამღვდელოების ივნისში მოწვეულმა კრებამ! ეს კრება ისეთ „ჯავშნიან" კაბინეტში ყოფილა ჩასმული, რომ დეპუტატები ხმის ამოღებას ვერ ჰბედავდნენ და თუ ვინმე გაბედნიერდებოდა და ნაჩვენებ გზას ოდნავად მაინც გადაუხვევდა, მას ულმობელი „თავმჯდომარე" მეისვე ხმას აუმენდინებდა და ბოდიშსაც მოახდევინებდა ხოლმე!

კრების ანგარიში ჯერ არსად არ დაბეჭდილა და ვგონი ვერც ოდესმე ეღირსება დაბეჭდვას. ამიტომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ზოგიერთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებით, რომელთაც ჩვენამდის მოაღწიეს. სასწავლებლის საბჭოს სხვათა შორის წინადადება შეუტანია აღმზრდელების შტატის გადიდებისა და მათთვის სასადილოს გამართვის შესახებ. კრების ერთ-ერთ დეპუტატს ამ წინადადებაზე სამართლიანად შეუნიშნავს, რომ თუ აღმზრდელები არ ჰყოფნის სასწავლებელს, ამ შემთხვევაში რატომ აქვს ადგილი აქ იმ გარემოებას, რომ ზედამხედველის თანაშემწე, რომელიც ვალდებულია მუდამ ბავშვებს წვრთნიდეს, ყურს უგდებდეს, მათთან იყვეს, სხვა თანამდებობებსაც ასრულებს. განზე, მაგალითად, ის არის ოლქის სამთოწავლო საბჭოს მდივნად და ეპარქიალურ საბჭოს გადამწერი! ეს შენიშვნა დეპუტატებისა ზედამხედველის თანაშემწის შეურაცხყოფად მიიჩნია თავმჯდომარემ. და თუმცა ეს ფაქტი ვერ იქმნა კრებაზე დარღვეული, მაგრამ სანამ ბოდიში არ მოახდევინა დეპუტატს, მანამ თავმჯდომარემ ვერ მოისვენა, ალბად ესეც საჭირო ყოფილა „კანონიერების" დასაცველად. აქ კომენტარიები საჭირო არ არის, გათუვით მხოლოდ, რომ დროა ზოგიერთმა ჩვენმა გაღადებულმა სასულიერო პირებმა ხელი აიღონ სამღვდელოების ზურგზე თავიანთ კარიერის განმტკიცებაზე! ისიც კმარა, რომ მტრის სასაცილოდ ჩაატარეს ჩვენი საეკკლესიო საკითხი, რომელსაც **ქვათა ღაღადის** დროს თითქოს გაცხარებით ეჭიდებოდნენ, ნამდვილად კი თურმე „ჩვენთან კაკანებდნენ და კვერცხს სხვაგან სდებენ".

**გარეში.**

## ცრუმორწმუნეობა სოფლად.

ეს ხუთი წელიწადია რაც ჩვენი ხალხი ეკონომიურად თან და თან ქვეითდება, შემოსავალი გლეხკაცობისა წლითი-წლობით კლებულობს, სამაგიეროდ ხარჯები კი იზრდება. გლეხკაცობის გაღატაკების გამომწვევ მიზეზთა შორის ცრუმორწმუნოებას საპატიო ალაგი უჭირავს, ცრუმორწმუნოება მაინც პარპაშობს სოფლად, და გამჯდარი აქვს გლეხკაცობას ძვალ-რბილში, მიუხედავად იმისა, რომ სოფლები სამკითხველო-სკოლებით იფინება, ცრუმორწმუნოებასთან ერთად ხალხი ძველ ადათ-ჩვეულებებსაც მისდევს: ხატობას დიდი ლხინ-ზეიმებს იხდიან, მიცვალებულის ქელეხებით ასაფლავებენ და სხვა. ყოველივე ამას კი დიდი ზიანი მოაქვს ხალხის კეთილდღეობისათვის. გადახედეთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პროვინციალურ განყოფილებებს, წაიკითხეთ და მაშინ შეიტყობთ, თუ როგორი მძლავრათაა ცრუმორწმუნოება ხალხში გამეფებული. აიღეთ მაგალითად და წაიკითხეთ 9 ივნისის გაზეთები თუ რას სწერენ მას პროვინციიდან. „სახალხო გაზეთს" სწერენ სოფ. დიდი-ლოლოდგან და ბეჟათუბნის საზოგადოებიდგან, სწერენ ეგრეთვე „ჩვენ გაზეთს" ქ. თელავიდან, რომ ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ამ გაჭირვების დამაგვირგვინებელი კი ცრუმორწმუნოების წყალობით სოფ. დიდი-ლოლოში მცხოვრებლებს რძე ვერ გაუყიდიათ, მეაბრეშუმეობას ფეხი ვერ მოუკიდია და სხვა. ეგრეთვე თურმე ერთი ცუდი ჩვეულების წყალობით ყოველ წლობით 150-200 მანეთს ხარჯავენ. ასეთი ცრუმორწმუნოება და ასეთი ჩვეულება რასაკვირველია რომ გაჭირვებას გამოიწვევს ხალხში და აკი გამოუწვევია სოფ. დიდი-ლილოშიაც. მეაბრეშუმეობა რომ გავრცელებული იყვეს სოფ. დიდი-ლილოში და რძეც რომ თავისუფლად გაჰყიდონ და ეგრეთვე ცუდი ჩვეულების ასრულებაზე 150-200 მანეთები არ დახარჯონ, დარწმუნებული ვარ იქაურ გლეხ-კაცთა კეთილ-დღეობა ათას წილად უფრო წინ იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ბეჟათუბნის საზოგადოებაში მქადაგებლები და მკითხავები მეფობენ თურმე. იქ ხალხი ისეთი ცრუმორწმუნე ყოფილა, რომ დაუდგენიათ, პარასკეობით არავინ იმუშაოსო, ვინც კი იმუშავებს ოჯახი დაურბიოთო. გლეხ-კაცობა აქამდის თუ კვირაში 6 დღეს მუშაობდა და არც მეშვიდე დღეს იყო სულ-ერთიან თავისუფალი, და თუ მიუხედავად ამისა კუჭს მაინც ვერ იძღობდა, ეხლა რაღა უნდა ჰქნას, ამდენ მოთხოვნილებას როგორ დაიკმაყოფილებს 5 დღის მუშაობით. „ჩვენი გაზეთი"-ს თელაველი კორესპონდენტი კი სწერს, რომ ხალხი ეკონომიურად ეცემა და ამის მიზეზია ცრუმორწმუნოება და ჩვეულებებიო. ეხლა გადახედეთ სხვა ნომრებს გაზეთებისას, ყველგან ერთსა და იმავეს ამოიკითხავთ, ყველგან უმთავრესად ცრუმორწმუნოებაა მიზეზი გაჭირვებისა. მიუხედავად იმისა, რომ ცრუმორწმუნეობა გაჭირვების გამომწვევი, ამ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ჩვენ მაინც არავითარ ზომებს ვღებულობთ. ჩვენ ყვირილით ვაყრუებთ არე-მარეს. ვყვირით ხალხის სამსახურზედ და ვიბრალებთ ხალხს ათასგვარი ლამაზ-ლამაზი სიტყვებით. მაგრამ საქმით კი ხალხს იოტის ოდენათაც არ ვეხმარებით. პირიქით, დახმარების მაგიერ ხშირად გზა-კვალსაც ვუბნევთ. სოფლად ცრუმორწმუნეობას სხვა ვინ უნდა შეებრძოლოს, თუ არა სოფლის მასწავლებლები, რადგან სოფლის განათლებულ ნაწილს ესენი შეადგენენ. ზოგიერთა მღვდლებსაც შეეძლოთ დახმარების გაწევა. ყოველი ცოტად თუ ბევრად განათლებულ ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა, რომ ხალხს ასეთი მომენტში დაეხმაროს. სასურველია, სოფლის ინტელიგენტი და შეგნებული ელემენტები ერთხელაც გაითვალისწინებდნენ იმ საშინელებას, რაც ამ ცრუმორწმუნეობიდან წარმოსდგება. აიღონ თუნდაც ბეჟათუბნის მაგალითი, რომ პარასკეობით მუშაობას ჰკვეთვენ და ყველაფერი ნათლად გამოჩნდება, თუ ხალხი როგორ დამონავებულია, გონება-დაბნეული. სოფლის მასწავლებლებს, სტუდენტებს და მაღალ-კლასების მოწაფეებსაც, სოფლად გაფანტულებს შეეძლოთ ესარგებლად სოფელში ყოფნით და შეჰბრძოლებოდნენ ამ ცრუმორწმუნოებას. განა სირცხვილი არ არის, რომ ასე გულგრი-

---

სა ელვასავით დაუვლის შანტეკლერის გულს, გამოფხიზლდება და გამხნევებით შესძახებს ბაყაყებს:

როგორ გაჰბედეთ, შეადარეთ ჩემი ყიყლიყო
ბულბულის ღვთიურ მელოდიას გულ-ჩაწყვეტილსა?

შემდეგ იგი გულახდილად მიჰმართავს ბულბულს:

რა მოვისმინე შენი სიმღერა მსგავსი ბროლისა,
ჩემი სიმღერა მეჩვენება ღირსად გმობისა.

**ბულბული.**
შენ უნდა იმღერო!

**შანტეკლერი.**
მაგრამ ძახილი ჩემის სულისა
მე მეჩვენება თითქოს წითლად, მოუხეშავად.

შემდეგ კიდევ კვნესით უპასუხებს ბულბულს: „ვაჰმე! ჩემის სიმღერით ვერავის ვგვრი ცრემლებს მდუღარეს!"

ყველაფერი ეს გულწრფელობა თავდებია მის მაღალი პატიოსნებისა.

იგი დარწმუნებულია, რომ მის ყიყლიყოს ამოჰყავს მზე, ეს სინათლე, სიცოცხლე და ბედნიერება ქვეყნისა, მაგრამ იგი ტყის მგოსნის სიმღერას მაინც თავის ყიყლიყოზე მაღლა აყენებს და ამას განგებ კი არ შვრება, განაზებით, არამედ გულწრფელად, თვალებზე მომდგარი ცრემლით, ამ სიმღერით აკვნესებული და ამ კვნესაში დამტკბარის გულით.

ღრმა, შეუდრეკელი რწმენა, გულწრფელობა, მოკრძალება, პატიოსნება, სილამაზის პატივსცემა, მშვენიერებით აღტაცება—აი, ღირსებანი შანტეკლერისა.

მისი ნაკლი კი ეს მისი თავმოყვარეობაა—თითქოს მას ამოჰყავდეს მზე. მაგრამ ჩამოაცალეთ ეს ნაკლი, ეს თავმოტყუება შანტეკლერს და იგი იმ წამსვე დაჰკარგავს სილამაზეს, მიმზიდველობას; იგი გადაიქცევა ჩვეულებრივ მოვლენად, ნორმალურ არსებად, რომელთაც ისე აუვლის ხოლმე გვერდს კაცის გული, რომ ვერც-კი ამჩნევს მას.

არაჩვეულებრივი თავმოტყუება, წარმოდგენა ბევრით უფრო ლამაზია, ძვირფასი, გულის გამხარებელი ვიდრე—ჩვეულებრივი სინამდვილე, რომელსაც თავი მხოლოდ იმითა მოაქვს, რომ არსებობს ნამდვილად და იმას კი აღარ დასდევს, რამე სარგებელი მოაქვს თუ არა ადამიანისთვის ამ არსებობით. სარგებელი მარტო მატერიალურად კი არა, არამედ სულიერადაც, განყენებულად, აბსოლუტურად, რადგან ესეთი დაკმაყოფილება ბევრით უფრო ძვირფასია ადამიანისათვის, ვიდრე ნივთიერი, ხორციელი, ხელსაჩინო...

### 4.

### სიყვარულის ძლევა-მოსილება.

სიყვარული!—მოიძებნება კიდევ ქვეყანაზე მის მსგავსი სილამაზე? ასწვდება ცა მას თავის სიმაღლით? შეედრება ტყეში ბულბულთა კვნესა მის კვნესას ადამიანის გულში? ამოუდგება გვერდში რომელიმე ნაზთა უნაზესი ყვავილი მის მხიბლავ სინაზეს? რომელი გაზაფხულია მასზედ უფრო ამყვავებელი? რომელი წალკოტია მასზედ უფრო დამატკბობელი? მასზე მეტად რომელი ქარიშხალი უფრო დაახვევს თავბრუს ადამიანს? რა მწუხარება უფრო ანატრებს მასზედ ხშირად სიკვდილს, სამარეს? რა სიხარული უფრო აწყურებს მასზედ მეტად სიცოცხლეს, დღე-გრძელობას? რომელი იდეა, რომელი მიზანი უფრო იმაზე ძლიერად აამოძრავებს კაცში შრომის უნარს, შემოქმედების ნიჭს, გმირულ გრძნობას, სიკეთის ქმნას?

სიყვარულში გადაფოთლილა ახალგაზრდობა ხალხისა, მასში აყვავებულა იმის შემოქმედება, იქ ისმის მისი სიმღერა, წუხილი, კვნესა, ვედრება, ლოცვა...

სიყვარული არის ხმალი ქვეყნისა, ჯვარი ქვეყნისა, ქნარი ქვეყნის. იგი ან თვითონ არის ყველაფერი უკეთესი, ან მის გარშემო დატრიალებს ყველაფერი ძვირფასი, სანუკვარ-სანატრელი...

ვის გულსაც სიყვარულის სიცოცხლის დროს არ მოუტანია თავისი გრძნობა და ყვავილებივით არ შეუმკია იმისი მკერდი, ვის გულსაც სიყვარულის სიკვდილის დროს თავისი გრძნობა მწუხარ ცრემლებად არ დაუღვრია იმის საფლავზე, მას არც უცოცხლია. მას არ უგრძვნია უმაღლესი ძალა, უმშვენიერესი სილამაზე, უძვირფასესი ტანჯვა...

სიყვარული ძველი ღმერთების სიმბოლოსავით ჩაუქრობელი კანდელია, ულეველი სიმდიდრე, შეუწყვეტელი ხმა, დაუშრობელი წყარო.

თავის გულში რამდენ შეუგნებელ ძალას ჰპოულობს კაცი სიყვარულის გასაძლიერებლად, რამდენ უხილავ სილამაზეს ჰნახულობს მის გასამშვენიერებლად. და თვით სიყვარულიც რამდენ შეუგნებელ ძალას, რამდენ უჩინარ სილამაზეს ჰნერგავს კაცის გულში?

ყოველი ჰანგი, შორეული თუ მახლობელი, მისწრაფვის სიყვარულისაკენ, სწვდება გულში, იქ ან ჰკვდება, ან ჰყვავდება და თუ რომელიმე შორეულ მიზნისკენ მისწრაფება იგი, მაინც სიყვარულის გულში გაივლის და ისე გასწევს იმ შორეულ მიზნისაკენ.

შეიძლება კაცმა ყველაფრის მიზნად ვერ დაისახოს სიყვარული, მაგრამ როცა იგი იშვება კაცის გულში, მაშინ ყველაფრის გზად მაინც გადაიქცევა ხოლმე.

გონებაში ძალიან ცოტა ადგილს ვუთმობთ სიყვარულს, მაგრამ გულს კი ხშირად სულ იმას მივანებებთ ხოლმე ჩვენდა გაუგებრად, ჩვენდა შეუნიშნავად. ცოტასა ვმსჯელობთ მასზედ, მაგრამ ბევრს კი ვსწუხვართ, ბევრს კი ვშფოთავთ მასზე გულით.

არ არის არც ერთი სერიოზული ნაწარმოები, რომ სიყვარულს საპატიო ადგილი არ ეჭიროს მასში, რომ ყველაფერი უმთავრესი სიყვარულის გარშემო არ ტრიალებდეს. ეს ხდება იმიტომ, რომ მხატვრობა—ეს გრძნობის სამფლობელოა, მის შვების წალკოტი, და გრძნობა ხომ უმეტეს ნაწილად თვით სიყვარულია ან მის გარშემო მოტრიალე რამ.

როსტანსაც აქვს სიყვარული თავის შანტეკლერში და კარგი სიყვარულიც არის.

მშვენიერი დედალი ხოხობი, მონადირეთაგან დაფრთხალი, შემთხვევით შემოფრენილი შანტეკლერის ეზოში, დამალვას თხოულობს. შანტეკლერი უარს როგორ ეტყოდა, მაგრამ ვერც თავის გულს უთხრა უარი, როცა იქ ხოხობის სიყვარულმა ცელქად შეაფრიალა ფრთები.

დასაქცევი ხოხობი მეტად მშვენიერი გამოდგა. მას თურმე აღარ მოენდომა კვერცხებზედ ჯდომა, წიწილების გამოჩეკა, ეს ჩვეულებრივი ცხოვრება, მას თურმე მოსწყურებოდა თავისუფლად ნავარდი, გიჟმაჟობა, არშიყობა, სიტკბოება, მოეპარა ბლომად ხოხობებისთვის ათასფრად მობრჭყვიალე ბუმბული, საუცხოვო სილამაზე და თვითონ შემოსილიყო მათით, რომელსაც ბევრად უფრო მეტად უხდებოდა ყველაფერი ეს მშვენიერება ვიდრე მამალ ხოხობს.

აბა, ასეთი ცელქი, ასეთი თავისუფალი, ასეთი საუცხოვო არსება როგორ არ აუჩქროლებდა გულს გრძნობით აღსავსე შანტეკლერს?

როცა მაცდური ხოხობის სიყვარული ძლიერ გრძნობად მიადგა შანტეკლერის გულს, მას არ შეეძლო არ გაეღო გული, და ყველაფერი საიდუმლოება ხომ გულში ინახება, მაშ სიყვარულიც იხილავდა ამ საიდუმლოებას.

დიდ ხანს ინახა შანტეკლერმა თავის საიდუმლოება. ვერც სიამაყემ, ვერც თავმომწონეობამ, ვერც მეზიდურობამ, ვერც ქათმების ხვეწნამ ვერ გამოამჟღავნებინეს ეს საიდუმლოება. მხოლოდ როცა სიყვარულმა მოისურვა ამ საიდუმლოებაში ჩახედვა, შანტეკლერმა აღტაცებით გაუღო გულის კარი და დაანახვა ყველაფერი.

ეს ერთი შესანიშნავი ადგილთაგანია მთელს პიესაში, როცა იგი ნამდვილ მგოსნად ქცეული უმხელს თავის საიდუმლოებას, თავის განსაკუთრებულ მაღალ მოვალეობას.

შანტეკლერი კეკლუცი ხოხობის მოულოდნელი სიყვარულით თითქოს სულ განახლდა. მის ყიყლიყოს შეემატა რაღაც უცნაური ძალა და ღვთიური ძალი. „ყოველი შენი სიტყვისაგან „მიყვარხარ" განთიადს უფრო და უფრო ემატება—სიყვარულის გრძნობით ჩაჩურჩულებს იგი ხოხობს—მითხარი „მე შენი ვარ"! და მაღალ მთებს ერთბაშად შევღებავ ოქროს ფერად, შევღებო?" ტკბილი ხმით მიბნედილი ხოხობი ძლივსღა უპასუხებს—ჰო, ჰო შეჰძლებ!.. ყიყლიყო! შესძახა შანტეკლერმა და ამოსასვლელად დამზადებული მზე უკვე სულ გამოჩნდა. შემთხვევა უცნაურად სწყალობს მას. მის ყიყლიყოს თანდაყოლილი ძლიერებასა და დანიშნულებას ეხლა მიემატა სიყვარულის ცეცხლიც და იგი ამას იქით უფრო მეტის რწმენით მოუწოდებს მზეს, უფრო ჩქარა მოუვლენს ქვეყანას.

კოპწია ხოხობი უფრო და უფრო ემონება შანტეკლერის სიყვარულს, მას აღარ ძალუძს მისგან მოშორებით ცხოვრება. მას არას გზით არ სჯერა, რომ მართლა მამალის ამოჰყავს მზე. მან კარგად იცის, რომ მზე ისეც კარგად ამოვა, მამალმაც რომ არ იყივლოს. მას ჰშურს, რომ მამალი ყველაზე ძლიერ სიყვარულს მზეს უცხადებს, ყველაზე ერთგულ ქებას მზეს უძღვნის და მისი სატრფო ხოხობი კი მხოლოდ მზის შემდეგ აგონდება.

ხოხობი სცდილობს, რომ ყველაზე მეტ ყურადღებას მას აქცევდეს შანტეკლერი. ამიტომ მან როგორმე უნდა დაუმტკიცოს მამალს, რომ მზე თავის თავად ამოდის და არა მის ყიყლიყოს შემწეობით. როცა ამის დამტკიცებას შესძლებს, მაშინ კი დაჰკარგავს ისეთ მნიშვნელობას შანტეკლერისთვის და მთელ ძალას, მთელ სიყვარულს მხოლოდ ხოხობს ანაცვალებს, მზის სანაცვლოდ მხოლოდ მას უმღერებს თავის ყიყლიყოს ისე ძლიერად ისე აღტაცებით, როგორც უმღერდა მზეს.

ამისთვის იხელთა კიდეც დრო, როცა ბრძოლაში დაქანცული შანტეკლერი ხოხობს გაჰყვა ტყეში დასასვენებლად.

განთიადი ჯერ არა სჩანს, ისევ ღამეა. შანტეკლერი საშინლად დაასუსტებულია, თვალებში ძილი უდგია; ბულბულის კვნესამ ხომ სულ მთლად მოშალა, მის დაღალულ-დაქანცული ჯანი დასვენებას მოითხოვს, ლამაზი ხოხობი კი ყურულ-მოღერებით სდგას იქვე. იგი გრძნობს წამს სრული გამარჯვებისას. ცოტა ხანი კიდევ და იგი ჩქარა გა-

ლად, გულ-ხელდაკრეფილი შევსცქეროთ ხალხის გაჭირვებას. სხვა რაღაში უნდა დავეხმაროთ ხალხს, როდესაც ცრუმორწმუნოების გაქრობაშიაც ვერ დავეხმარებივართ. **აქილლესი.**

# ვახტანგ მეექვსე
## 1675—1737 წ.

**ვახტანგ მეექვსე** დაიბადა 1675 წ. მამა ამისი იყო ლევან მეფე, თავის დროს გამოჩენილი ნასწავლი და მასთანვე კარგად მცოდნე სპარსულ-არაბულ ენების და მწიგნობრობის. იგი კარგად იცნობდა სპარსთა და არაბთა კანონდებასაც. ასეთის ღირსების გამო იგი სპარსეთში იქმნა ყეინისაგან მიხმობილი და „ირანთა მსაჯულად“ დანიშნული.

ვახტანგ მეექვსე ლეონ მეფეს მეორე ცოლისაგან დაებადა. პირველი მეუღლე გურიელის ქალი იყო და მან სიკვდილის შემდეგ მეორე ცოლად ავალიშვილის ასული შეირთო, ვისგანაც დაიბადა ვახტანგ მეექვსე. ვახტანგ მეფე იყო ბუნებით ჭკვიანი კაცი. მასთან მან მიიღო იმ დროის განათლება. იცოდა კარგად ვარსკვლავთ მრიცხველობა, ექიმობა და სხვანი. იცნობდა კარგად იმ დროის საქართველოში მყოფ კათოლიკ ბერებს. მათის დახმარებით სპარსეთიდამ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ მე-14-საც მიმართა სათხოვარით. თხოვნა საქართველოს საქმეებს შეეხებოდა. ამისთვის მან ევროპაში გაგზავნა საბა ორბელიანი, რომელსაც თან ახლდა კათოლიკის მისიონერი რიშორი. საბამ ნახა რომის პაპი და მის მერე ლუდოვიკ მეფე, ვისაც დაჩოქილა შესტირა საქართველოს შველის გამო.

ვახტანგ მეფე სპარსეთში ყოფნის დროს 1713 წ. საიდუმლოდ კათოლიკის სჯულსაც დაუკავშირდა, ამ დროს იგი ისლამსაც აღიარებდა. სპარსეთში დიდი სახელი გაითქვა, კარგი ენერგია გამოიჩინა. იქ მას დიდათ ეხმარებოდნენ კათოლიკის ყველა ორდენის მამები. ნამეტურ დომინიკანელები და ფრანცისკანელები. ამ ბერების დახმარებით იგი ქართლის მეფედ იქმნა დამტკიცებული და 1719 წ. ტფილისში ქართლის მეფედ დაბრუნებული. ქართლის მეფობის დროს მან დიდი ნიჭი გამოიჩინა მართვა-გამგეობაში, ხოლო აქ სულ ხუთ წელს იმეფა.

1724 წ. იგი გადასახლდა რუსეთში, პეტრე დიდთან. თან წაიყვანა 3000 ქართველი, ხუთი ეპისკოპოსი, 15 მღვდელი, ექვსი დეკანოზი, 10 ბერი, 1400 თავად-აზნაური და დანარჩენი გლეხობა. პეტრე დიდმა ეს პატივით მიიღო, ულუფა დაუნიშნა და მის თანამხლებელნიც რუსეთის გუბერნიებში დაასახლა, თვით ვახტანგი მალე დანიშნა რუსის სამსახურში და მას სპარსეთისაკენ მგზავრობა, ანუ გალაშქრებაც დაევალა. ასეთ თანამდებობის გამო მგზავრობაში იგი გარდაიცვალა 1737 წ. ასტრახანს, სადაც დასაფლავდა კიდეც. სხვათა მრავალთ საქმეთა გარდა, 1709 წ. ამან ტფილისში გახსნა ქართული სტამბა. სტამბისათვის ოსტატები გამოიწერა ვალახიიდან და 1710 წ. ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. 1710 წლიდამ მან ბეჭდა სულ საეკლესიო წიგნები. 1717 წ. გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ მის გარდა სხვაც მრავალი: ლოცვანი, დაუჯდომელი ზატიკი, ტიბიკონი, საქმე მოციქულთა, სახარება, დავითნი, ჟამნი, კონდაკი, ანბანის წიგნები. 1721 წ. დაბეჭდა „აიათი“ ანუ „კოსმოგრაფია“.

ქართული ისტორიული წერილები რიგზედ დააწყო და მით აკინძა ერთად „ქართლის ცხოვრება“ პროზათ სთარგმნა „ქილილა და დამანა“ სხვა და სხვ. კარაბადინები სპარსულის ენიდამ. სწერდა ლექსებს და ზღაპრებსაც. იყო კარგად მცოდნე სამღვთო წერილისაც. ამანვე გაასწორა მიხეილ ელვიძისაგან ნათარგმნი დიდი არითმეტიკა, სამხედრო ტაქტიკა, გეომეტრია და ბევრიც სხვა ასეთნი. ამანვე შეასწორა ვილორიონის „საოჯახო ეკონომია“ ფრანგულიდამ რუსულად ნათარგმნი პეტრე დიდის დროს და მერე რუსულიდამ ქართულად ნათარგმნი ვახტანგ მეფის თანმხლებელის მოწაფის ქაიხოსრო გელოვანისაგან. სხვაც ბევრი წიგნები აქვს ამ მეფეს გასწორებული თავის ენით.

ამანვე შეადგინა „სამართლის წიგნი“ რისა გამო იგი იწოდა „მსჯულ მდებელად“ ამასვე ეკუთვნის „დასტურლამის“ შედგენა, ანუ სამეფო მოხელეთა გამგეობის წესის და რიგის წიგნი. დიდად საინტერესო არის მის პირობის წერილი რომის პაპს და ლუდოვიკ 14-თან, სადაც თქმულია, რომ თუ საფრანგეთი საქართველოს დახმარებას მისცემს, მაშინ მზათ არის, რომ ვახტანგ მეფე თვით კათოლიკის სჯულსაც შეუერთდესო. მერე ამის მიზეზით ქართლ-კახეთის ერიც დაუკავშირდება ამ რჯულსო.

ვახტანგის შვილები იყვნენ ბაქარი, მწიგნობარი და მოსკოვში ქართული სტამბის დამაარსებელი და წიგნების მბეჭდავი. ვახუშტი, უკანონო შვილი ვახტანგის, აწც ცნობილ ისტორიკოს გეოგრაფი და მესამე პაატა ბატონიშვილი, აგრეთვე უკანონო ძე ვახტანგის, რომელმაც ევროპიული განათლება მიიღო.

1710 წელს შესრულდა 200 წელიწადი მას შემდეგ რაც საქართველოში ვახტანგ მეფის შრომით ქართული სტამბა დაარსდა და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. დღევანდელი სურათი გადმობეჭდილია თვით ვახტანგ მეფის მიერ გამოცემულის ძველის წიგნებიდამ, სადაც ის იქ ასეა დაბეჭდილი. **ზ. ჭ.**

# რუსეთი

**ახალი შავრაზმული ორგანიზაციები.** როგორც ვიცით, ექიმმა დუბროვინმა შავრაზმელთა მთავარ საბჭოს თავი მიანება. ეხლა მან კავშირის პროვინციალურ განყოფილებებს, რომელთაც უთანხმოება აქვთ მთავარ საბჭოსთან, დაუგზავნა მოწვევის ბარათები როგორც ამბობენ, კრებაზე ახალ შავრაზმულ ორგანიზაციების დაარსების საკითხს წამოაყენებენ. ამ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგება თვით დუბროვინი.

**გაზეთის დაჯარიმება.** ეკატერინოსლავში გაზეთი „იუჟნ. ზარია“ გუბერნატორმა 300 მანეთით დააჯარიმა, რადგან მან ებრაელების დევნის შესახებ წერილი დაბეჭდა.

**სასოფლო მეურნეობა სასულიერო სემინარიებში.** უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტმა გადასწყვიტა ეპარქიალურ სასწავლებლებში და სასულიერო სემინარიებში მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოიღოს სასოფლო მეურნეობის სწავლება.

**თვით მკვლელობა მოსკოვში.** უკანასკნელ წლების სტატისტიკური ცნობები თვითმკვლელობათა შესახებ გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებთან შედარებით ამ მხრივ მოსკოვს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მაგ. 1906 წ. ბერლინში 100,000 კაცზე თვითმკვლელთა რიცხვი მოდის 32, სხვა ქალაქებში 18-20, მოსკოვში კი 11. პეტერბურგთან და ოდესსასთან შედარებითაც მოსკოვი უკეთეს პირობებშია. იმ დროს, როდესაც ამ ქალაქებში თავს იკლავს 3 კაცი, მოსკოვში იკლავს თავს 1. 1908—9 წლ. ქალთა შორის თვითმკვლელთა რიცხვი იზრდება. წლების მიხედვით თვითმკვლელნი ასე იყოფებიან: 8—15 წლ. თავი მოუკლავს 45 კაცსა და ქალს, 15—20 წლ. 381, 21—25 წ. 179, 26-30 წლ. 134, 31—40 წლ. 117, 41—50 წლ. 73, 50 წელს იქით 71 კაცსა და ქალსა. ყველაზე მეტი გაზაფხულობით იკლავს თავს (33,2%), ყველაზე ნაკლები ზაფხულობით (19,8 პროც.). ზამთრობით იკლავს თავს 24,8 პროც., ხოლო შემოდგომით 22, 2 პროც. პირველი ალაგი უჭირავს თავის მოწამვლას. ორი წლის განმავლობაში თავი მოუწამლავს 724 კაცს, ყელი გამოუჭრია 208, თავს ღაუხრჩვია 153, რევოლვერით თავი მოუკლავს 117, წყალში თავი დაუხრჩვია 58, ფანჯრიდან გადმოვარდნილა 12, ხოლო ფავის თავისთვის ცეცხლი წაუკიდებია 2 კაცს.

**ბერ. ინოკენტის მოღვაწეობა.** შორშან კიშინევის გუბერნიაში ერთ მონასტერში აღმოაჩინეს წმ. თედორეს ნაწთი. ამან მრავალი მლოცველი მიიზიდა. ამ მონასტერში „მოღვაწეობდა“ ბერი ინოკენტი. რათა მლოცველებს „ცხონების“ გზაზე დაეყენებინა, ინოკენტი მეორედ მოსვლაზე, ჯოჯოხეთზე და სხვ. უქადაგებდა. ამასთან ისეთ სურათებს უხატავდა მათ, რომ მრავალი ირყეოდა ჭკუიდან. რამდენი დააყენა „ხსნის“ გზაზე ინოკენტიმ, ჯერ ჯეროზით არ არის გამორკვეული, მაგრამ ეს კია, რომ მარტო ტარაკლისის სამედიცინო ნაწილში ექიმებს 60 ზემოხსენებულ მონასტერში ნამყოფი სულით ავადმყოფი შეუმოწმებიათ. ბოლოს ადმინისტრაციამ ამას ყურადღება მიაქცია და მონასტერში სიარული სრულიად აკრძალა.

**ფინლიანდელები და ფინლიანდიის კანონ-პროექტი.** ფინლანდიის გაზეთები გადმოგვცემენ ფინლანდელ პროფესორის რეიტერის აზრს ერთ უცხოელ გაზეთის თანამშრომელთან ფინლანდიის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ბაასის დროს. მდგომარეობა, უთქვამს პროფესორს, მეტად სერიოზულია. სათათბიროს უმრავლესობამ კანონ-პროექტი მოიწონა, ის კანონ-პროექტი, რომელიც, ვგონებ, რუსეთის ხალხის სიმპატიით არ სარგებლობს. ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო საბჭოში იგი ვერ გავა, თუნდაც იქაც გაიდეს, იმედია, ხელმწიფე არ დაამტკიცებს. რომ დაამტკიცოს? ეკითხება მობაასე. მაშინ კონფლიქტი მზად იქნება, უპასუხებს რეიტერი. ფინლანდიის სეიმს ამ კანონ-პროექტით წინადადება ეძლევა სათათბიროში ამოირჩიოს რამდენიმე წარმომადგენელი, მაგრამ იგი უპასუხებს, რომ ეს კანონი ფინლანდიის კონსტიტუციის წესით არ არის გამოცემულიო და უარს ეტყვის, ეს კონფლიქტის პირველი ნაბიჯი იქნება. ასევე იქმნება სახელმწიფო საბჭოში არჩევნების დროს. უარს იტყვის აგრეთვე ფინლანდიელი მოსამართლე. — მე ფინლანდიის კონსტიტუციაზე დავიფიცე, ამიტომ ვერ დავემორჩილები იმ კანონს, რომელიც ამ კონსტიტუციის წესით არ არის გამოცემული, ეტყვის იგიო.

✦ **ავსტრიელ კორესპონდენტის დაპატიმრება.** ამ დღეებში პეტერბურგში დააპატიმრეს ავსტრიელი კორესპონდენტი ბარონი უნგერნ-შტერნბერგი. ეს საქმე ეხლა სენსაციონურ ხასიათს იღებს. როგორც ხმა დადის, ქაღალდებში უპოვნიათ ცნობები, ვითომ ავსტრიის საელჩო სუბსიდიას აძლევს გაზეთ „ვეჩ. გოლოს“-ს. გამოირკვა აგრეთვე ის, თუ რამდენს იღებდა ბარონი შტერნბერგი საიდუმლო ქაღალდების მიტან-მოტანაში, „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით ბარონი ყველაფერში გამოტყდა, იგი დააპატიმრეს და საქმე საგანგებო [illegible] გამომძიებელს გადასცეს.

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** პეტერბურგში ადმინისტრაციამ 500 მანეთით დააჯარიმა „ლატიშთა გაზეთი“, ფინლანდიის შესახებ წერილის დაბეჭდვისათვის.

✦ **კარაულოვის მკვლელობის მთავარ მოწმის გადასახლება.** როგორც ვიცით, მეორე სათათბიროს წევრის კარაულოვის მკვლელობას იძიებენ მისი შვილების მოთხოვნით. მკვლელობაში ბრალი ედებათ რუსთა კავშირის მებრძოლ რაზმის წევრებს. მთავარ მოწმად სხვათა შორის მიწვეულია დამცველ პოლიციის ყოფილი აგენტი. პოლიციამ იგი ეხლა ადმინისტრატიული წესით ეკატერინოსლავის გუბერნიის საზღვრებიდან გააძევა.

დაიქცევა შანტეკლერის მზედ, მის საქებრად, მის სადიდებლად.

იგი სიყვარულის ალში გახვეული, გრძნობით აღსავსე ხმით, მაცდურის გამომეტყველებით, თავისთან მოიწოდებს შანტეკლერს.

— მოდი, ჩემს მკერდზე დაისვენე!

ოჰ! როცა გადამრევი სატრფო ხელებს განაპყრობს მოსახვევნად, როცა მისი მთრთოლვარე ხმა, ეს მისი გრძნობა ლამაზ ბაგეთაგან ტალღებად გადმომდინარე მოიწოდებს თავისკენ, როცა მისი თვალები სიყვარულის ცეცხლად აკვდებიან მიჯნურის თვალებს, მაშინ რომელ დაქანცულს შეუძლიან არ გაუგონოს ამ მოწოდებას? იგი მოვა, ერთის წუთით მაინც დასდებს თავის სატრფოს გადაშლილ მკერდზე, ამოეფარება მის ლამაზ ფრთას, დახუჭავს თვალებს და ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით, მაინც დასტკბება სატრფოს გულის ცემით, მის ხვევნით, მის შეხებით, მის ნეტარების მგზნებარე ალერსით და სწორედ ეს ერთი წამი ხდება შანტეკლერისთვის მთელი სიცოცხლის საშინელებად, იმისი რწმენის რევოლიუციად.

შანტეკლერის მაღალ, შეუდრეკელ რწმენას ერთის წამით მაინც სძლია სიყვარულმა, განთიადის პირას დაავიწყებინა თავისი ყოველდღიური მოვალეობა, ერთის წამით მიაძინა თავის მკერდზე და როცა შანტეკლერი თვალ დახუჭული წყნარ ნეტარებას ჰგრძნობდა, მზე უკვე ეწია ქვეყნიერებას.

ხოხობმა გამარჯვებით გაშალა ფრთა. შანტეკლერმა გაახილა თვალები და... მზე მაღლა ცაზე კი დაინახა.

შანტეკლერმა თითქოს უეცრივ გონება დაჰკარგა, ერთი მწარედ ამოიგმინა, მაგრამ ისევ ჩქარა მოვიდა გონს და კიდევ შესძახა აღმოსავლეთს თავისი მძლავრი ყიყლიყო.

როცა ხოხობი ეკითხება ეხლა რაღათა ჰყივის, შანტეკლერი უპასუხებს, რომ მოვაგონო ჩემ თავს ჩემი მოვალეობაო.

მას აღარა სწამს, რომ მზე ამოდის იმის შემწეობით, მაგრამ იგი მაინც ვერ შესწყვეტს თავის ყიყლიყოს ძახილს. იგი მოწოდებულია მა ქვეყნად რაღაცა დიდისთვის, მაღალისთვის, მასში ღვთიურის განგებით ჩანერგილა ნიჭი სიყვარულისა, თაყვანებისა და სამსახურისა რაღაც წმიდა, მაღალი მოვალეობისადმი. ამიტომ როცა დარწმუნდა იგი, რომ მზე უიმისოდაც ამოდის... იგი ოდნავადაც არ შეამცირებს თავის ყიყლიყოს, მხოლოდ ეხლა მას იძახებს არა მზის მოსაწოდებლად, არამედ—მძინარეთა გასაღვიძებლად.

აქ კი ხოხობი ისევ დამარცხდა. ხანმოკლე იყო მისი ოცნება გამარჯვებაზე.

შანტეკლერის რწმენამ დაამარცხა საყვარული, მაგრამ სიყვარულმა კი ახლად გაიმარჯვა მშვენიერ ხოხობზე.

ხოხობი დამარცხდა შანტეკლერისაგანაც და სიყვარულისაგანაც. პირველი დამარცხება მას ასუსტებს, მეორე კი—აღადგენს, ძალას უმატებს და მისი თვალები ისევ შეჰხარებენ შანტეკლერს, მისი გული ისევე იძგერებს შანტეკლერისთვის.

თუ ერთგან მარცხდება სიყვარული, მეორეგან იმარჯვებს იგი.

ერთგან სუსტი, მეორეგან ძლევამოსილობს. **ლევ. მეტრეველი.**

(დასასრული იქნება)

# განცხადებანი


**ექიმი** გ. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6—123)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეჟანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

◀ სოფლისთვის ▶

**საჭიროა**

**ქართველი ახალგაზრდა უფლებიანი ბებია.** დაწვრილებით ქვაშვეთის მთავარ ნიკო ოქრომჭედლიშვილთან. ტფილისი. სამების ქუჩ № 3. (3—299—3)

**გამოვიდა** და იყიდება: **ტფილისში**

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალი“, ვედევან გედევ-ნოვისადმი, „ბედმა მიღალატა“ ვახო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) **ალ. თუთაევი.** (15—4)

**სუფთა და ჩქარ წერას**

ვასწავლი 10 გაკვეთილის მიცემით პირადად თუ წერილობით **დაჯილდ. უნივერსიტეტის ატესტ**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი საცდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.

Одесса, проф. каллиграфіи А. КОССОДО Дерибасовская, д. Грузевича. (10—ф.—3)

**დავკარგე** 14 ივნისს სუმბათოვკის და ქვიშხეთის სადგურების შორის მატარებელში ჩემოდანი, რომელშიდაც სხვათა შორის იყო ჩემი დოკუმენტები: მეტრიკა, სიმწიფის ატესტატი და სხ. გთხოვთ, ვინც იპოვის, გამოუგზავნოს ჩემი დოკუმენტები, რომელიც ჩემთვის მალიან საჭიროა და სხვას კი არ გამოადგება, ჩემს სახელზედ ან ბინაზედ.—Тифлисъ, Слѣпцовскій пер. N 3 Мгеброву, ან რომელიმე რედაქციაში, რისთვისაც ჩემგან მიიღებს საჩუქარს. **გიორგი მგებროვი.** (3—2)

**ქართული სამკურნალო ტერმინები**

წინასიტყვაობით

ს[illegible]დება: —„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და იოს. მერკვილ ძის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი 20 კაპ.** (5—317—3)

**თვეში 150 მან.**

და მეტს უთუოდ აიღებთ, თუ იცით უცხო ენები. **მხოლოდ ჩვენს ამერიკულ სისტემაზე** შესწავლით 2—3 თვის განმავლობაში მასწავლებლის დაუხმარებლად **გერმანულ ენას, ფრანგულს ინგლისურსა და ლათინურს.**

ამ სისტემით აუცილებლად მიაღწევთ სასურველს, დიადალი ქების წერილებში მოგვდის ფასი 1 ენისა 1 მ. 25 კ., 2-სა 2 მ. 25 კ. 3 სა 3 მ. 4-სა 3 მ. 75 კ. (მარკებითაც) იგზავნება დაუყოვნებლივ, შეიძლება... С.-Петерб., Невскій 118 Т-во „Основа“. N 1846 ალექ. შელი ბ. მ. მ. (4—6,3)

საყმაწვილო სურათები ნი ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ცრივე გამოცემა—სამი მანეთი; ხაზევარ-გარეშე: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

გ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან 1910 წ.**

[illegible] ნაჩვენებია ტფილისის დროს საათები [illegible] მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბათუმისაკენ:** | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. | 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. | 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. | 31 წ. |
| **ბაქოსაკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. | 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. | 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. | 38 წ. |
| **ბორჯომისაკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. | 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. | 36 წ. |
| **ჯულფისაკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. | 22 წ. |
| **ერევნისაკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. | 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. | 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. | 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. | 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. | 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. | 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. | 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. | 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. | 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. | 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დილის. | 6 ს. | 33 წ. |

**შემთხვევით იყიდება**

ძირიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

— CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS. —

**კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯვატერისა**

✦ ამერიკაში ✦

**ა წ ვ დ ი ს**

ყოველ გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში

სავაჭრო სახლი **ძმ. სტეპუნები** ბაქოში

განყოფილებანი: მერვსა, კოკანდსა, წარმომადგენლები: ტაშკენტსა, ბაფრუმსა (სპარსეთი . ადჟინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. ბ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—6)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

**„როზა“**

(„ვარდი“)

ტფილისი, ურების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—31)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

„კლო-ეგურული“ ქუთაისში.

**უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში**

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—47)